

## Tourism in Georgia

### Georgian transcript:

**ნიკა:** კიდევ ერთი სეგმენტი ბიზნესის რომელიც პრიორიტეტულია, ასე ვთქვათ დღესდღეობით საქართველოში არის ტურიზმი ხო? და რეალურად ასეც უნდა იყოს, იმიტომ რომ საქართველო არის ქვეყანა რომელშიც უსაზღვრო შესაძლებლობები არის ტურიზმისთვის; ეკოტურიზმი არის, არის ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის ტურიზმი და ანუ ბევრი შესაძლებლობები არის და მათი გამოყენება არის საჭირო. ანუ საქართველოში შენ შეგიძლია სუბტროპიკული ზონა მოინახულო, შენ შეგიძლია, ნუ ეს ყველამ იცის, შეგიძლია ახვიდე ისრიალო მთაში და ჩამოხვიდე იბანაო ზღვაში, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ეს არ არის ჩვენი ტურიზმის მთავარი უპირატესობა. ჩვენი ტურისმის მთავარი უპირატესობა, ჩემი აზრით, არის მაინც არის ისტორიული ადგილების მონახულება, ხვდები იმიტომ რომ საქართველოში... საქართველო რეალურად ქვეყანაა... ქვეყნის მთავარი უპირატესობა არის რა? ისტორია, ისტორიული წარსული. იმიტომ რომ ჩვენ... ჩვენი უძველესი ტომები ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ნუ რაც ჩვენ ვიცით ალბათ რამდენიმე ათასი წლის წინ ხო? და ბოლო კვლევების შედეგად აღმოჩენილი არის შუმერების ნასახლარები და ასე შემდეგ, ანუ ბევრი სხვადასხვა ცივილიზაცია ცხოვრობდა ამ პატარა ადგილას და აქედან გამომდინარე ბევრი რაღაცის ნახვა შეიძლება, ბევრი რაღაცის მონახულება შეიძლება, ბევრი რაღაცის სწავლა შეიძლება. და აი ამ ყველაფრის გამოყენება საჭირო არის იმისთვის რომ ტურიზმი განვითარდეს და ჩემი აზრით ძალიან საინტერესო არის ეს, იმიტომ რომ ჩვენ ტერიტორიაზე არის შავი ზღვა, რომელიც არის ერთერთი ყველაზე საიდუმლოებით მოცული ზღვა მთელს დედამიწის ზურგზე და ჩვენთან არის აგრეთვე ყველანაირი ლანდშაფტი აბსულიტურად, ნახევარუდაბ... უდაბნოდან დაწყებული დამთავრებული ალპური ზონით და სუბტროპიკებით რა, ანუ აქედან გამომდინარე ძალიან მრავალფეროვანი არის ქართული ტურიზმის შესაძლებლობები.

**რუსო:** და შენ როგორ ფიქრობ, როგორც თბილისის მაცხოვრებელი რას თვლი რომ ბოლო ოთხი წელია მომრავლდა ტურისტები საქართველოში?

**ნიკა:** იცი რა არის, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ცოტათი გაუჭირდა ტურიზმს საქართველოში, მაგრამ რეალურად, კი, კი მომრავლდა. იმიტომ რომ მე მახსოვს ათი წლის წინ ბევრად ნახლები ტურისტი მაინც საქართველოში და ვთქვათ ეხლა შენ რომ ზამთარში ჩახვიდე გუდაურში, რომელიც არის სათხილამურო კურორტი, შენ ძალიან ბევრ უცხოელს ნახავ, ძალიან ბევრ ტურისტს ნახავ იქ, და მიხვდები რომ ტურიზმი ანუ რეალურად მუშაობს.

**English translation:**

**Nika:** Another business segment that is a priority in Georgia today is tourism, right? And really that is how it should be, because Georgia is a country with tremendous potential for tourism; there is ecotourism, there is tourism for extreme sports lovers, so there are many opportunities for tourism which need to be explored. In Georgia you can see the subtropical zone, you can, well everybody knows that you can go up to ski in the mountains and come down and swim in the sea, but this is not the only main advantage of our tourism. Our tourism's main advantage, in my opinion, is in the historical sites, because what is the main advantage of Georgia as a country? History; our past. Because our ancient tribes lived in this area, what we know is probably a few thousand years ago? While recent research has discovered ancient dwellings of Sumerians and so on, so many different civilizations lived in this small place, and therefore there are many things to be seen, visited and learned. All this should be used to develop tourism, and in my opinion it is very interesting, because we have [an exit to] the Black Sea as our territory, which is one of the most mysterious seas around the globe. We also have all types of terrain; starting from the desert to a mountainous terrain, as well as subtropics. Therefore Georgia has numerous and very diverse tourism opportunities.

**Ruso:** And what do you as a resident of Tbilisi [think], has the amount of tourists in the last four years increased in Georgia?

**Nika:** You know, after the Russia-Georgia War, it was a bit tough for tourism in Georgia, but actually, yes, sure, it has increased. Because I remember ten years ago, I saw much less tourists in Georgia, and now if you go to Gudauri, which is a ski resort, you see a lot of foreigners, many tourists there, and you will realize that tourism is actually on the rise.

**About CultureTalk:** CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.